

საქართველოს ფინანსთა სამინისტრო



ეკონომიკური ტენდენციების კვარტალური მიმოხილვა

III კვარტალი, 2022

- 2021 წლის ეკონომიკური ზრდა საქართველოსთვის: 10.4 პროცენტი
- წინასწარი მონაცემებით, ეკონომიკურმა ზრდამ 2022 წლის პირველ 9 თვეში შეადგინა 10.2 პროცენტი
- მესამე კვარტალში წლიურმა ინფლაციამ შეადგინა 11.3 პროცენტი, ხოლო საბაზისო ინფლაციამ (თამბაქოს გარეშე) - 7.2 პროცენტი
- ექსპორტი გაიზარდა წლიურად 40.5 პროცენტით
- იმპორტი გაიზარდა წლიურად 29.0 პროცენტით
- ტურიზმიდან მიღებული შემოსავალი მნიშვნელოვნად გაიზარდა საბაზო ეფექტის გამო და უკვე დაფიქსირდა 2019 წლის დონეზე დაბლა
- რეფინანსირების განაკვეთი კვლავ 11.0 პროცენტს შეადგენს



სარჩევი

<u>რეალური სექტორი</u>	4
<u>ეკონომიკური ზრდა</u>	4
<u>დასაქმება და უმუშევრობა</u>	6
<u>ფასების დონე</u>	7
<u>რეგიონის ეკონომიკური მიმოხილვა</u>	9
<u>საგარეო სექტორი</u>	11
<u>მიმდინარე ანგარიშის ბალანსი</u>	11
<u>საგარეო ვალი</u>	12
<u>პირდაპირი უცხოური ინვესტიციები</u>	13
<u>საგარეო ვაჭრობა</u>	14
<u>ტურიზმი</u>	15
<u>ფულადი გზავნილები</u>	15
<u>სხვა ქვეყნებზე დამოკიდებულება</u>	16
<u>გაცვლითი კურსი</u>	17
<u>ფისკალური სექტორი</u>	18
<u>ნაერთი ბიუჯეტის შესრულება</u>	18
<u>საქართველოს სახელმწიფო ვალი</u>	20
<u>მონეტარული სექტორი</u>	21
<u>კერძო სექტორის ლარიზაცია</u>	21
<u>სესხების მიმოხილვა</u>	22
<u>დეპოზიტების მიმოხილვა</u>	23
<u>მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი</u>	24
<u>საპროცენტო განაკვეთები</u>	25




რეალური სექტორი

ეკონომიკური ზრდა

წინასწარი მონაცემებით, 2022 წლის მესამე კვარტალში რეალური მთლიანი შიდა პროდუქტი წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით საშუალოდ გაიზარდა 9.7 პროცენტით. ამავე დროს, 2022 წლის მესამე კვარტალში რეალურმა ეკონომიკურმა ზრდამ 2019 წლის მესამე კვარტალთან შედარებით შეადგინა 11.5 პროცენტი საშუალოდ. კერძოდ, მესამე კვარტალში ექსპორტი წლიურად გაიზარდა 40.5 პროცენტით, ხოლო იმპორტი წლიურად გაიზარდა 29.0 პროცენტით. ამავე დროს, 2019 წლის მესამე კვარტალთან შედარებით, ექსპორტი გაიზარდა 62.7 პროცენტით, ხოლო იმპორტი გაიზარდა 44.5 პროცენტით. საგარეო მოთხოვნა ზრდას განაგრძობს. ტურიზმის გათვალისწინებით, პანდემიამდე არსებულ მდგომარეობასთან შედარებით, საგარეო მოთხოვნა იზრდება. საერთაშორისო მოგზაურობისგან მიღებული შემოსავალი მესამე კვარტალში წლიურად გაიზარდა 2.4-ჯერ, ისევე როგორც 2019 წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, რომელთან მიმართებაშიც ადგილი აქვს 22 პროცენტთან ზრდას.


2022 წლის დასაწყისში გაუარესებული ეპიდემიოლოგიური ვითარების გამო, ადგილი ჰქონდა რიგ შეზღუდვებს, რაც ხელს უშლიდა ეკონომიკური აღდგენის პროცესს. შეზღუდვების თანდათანობით მოხსნასთან ერთად გაიზარდა ეკონომიკური აქტივობაც და 2022 წლის პირველ კვარტალში რეალური მშპ წლიურად გაიზარდა 14.9 პროცენტით. რაც, 2019 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, 21.6 პროცენტს შეადგენს. აღნიშნული წლიური ზრდა მნიშვნელოვნად გამოწვეულია საბაზო ეფექტით და როგორც პანდემიის საწყის პერიოდში გადავადებული მოთხოვნის მიმდინარე პერიოდში რეალიზაციით, ასევე - რეგიონში ეკონომიკური მდგომარეობის გააქტიურებით. რაც შეეხება 2022 წლის მეორე კვარტალს, დაფიქსირდა 7.1 პროცენტის ზრდა. 2022 წლის მეორე კვარტალში მნიშვნელოვანი წილი ექსპორტის კომპონენტმა შეიტანა, რომელიც რეალურ გამოსახულებაში წლიურად 13.4 პროცენტით გაიზარდა, ასევე მნიშვნელოვანი წვლილი ჰქონდა ინვესტიციების კომპონენტს, რომელიც 3.0 პროცენტით გაიზარდა. ამავე დროს, რეალურ გამოსახულებაში შემცირდა

დიაგრამა 1: ეკონომიკური ზრდა




წყარო: საქსტატი

დიაგრამა 2: სექტორების რეალური ზრდა, 2022 II კვარტალი




წყარო: საქსტატი

დიაგრამა 3: ეკონომიკური ზრდის დეკომპოზიცია




წყარო: საქსტატი

დიაგრამა 4: ეკონომიკური ზრდის პროგნოზი



წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

დიაგრამა 5: მშპ მოსახლეობის ერთ სულზე, ათასი აშშ დოლარი



წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

მოხმარების კომპონენტი 6.5 პროცენტით და ასევე ადგილი ჰქონდა იმპორტი წლიურად შემცირებას 2.8 პროცენტით.

2022 წლის II კვარტალში რიგ საქმიანობებში გამოვლინდა ეკონომიკური ზრდა. კერძოდ, მნიშვნელოვანი წვლილი ზრდაში შეიტანა შემდეგმა საქმიანობებმა: ელექტროენერგიის, აირის, ორთქლის და კონდიცირებული ჰაერის მიწოდება (75.9 პროცენტი), ტრანსპორტი და დასაწყობება (18.6 პროცენტი), ინფორმაცია და კომუნიკაცია (27.7 პროცენტი), სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობა (10.9 პროცენტი), განათლება (12.0 პროცენტი), საბითუმო და საცალო ვაჭრობა (3.0 პროცენტი).

2022 წლის განმავლობაში ზრდა ნაწილობრივ დამოკიდებული იქნება რეგიონში არსებულ მდგომარეობასა და ქვეყნის ეკონომიკაზე მის გავლენაზე. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს პროგნოზის მიხედვით, 2022 წელს მოსალოდნელია 8.5 პროცენტიანი ეკონომიკური ზრდა, რომელიც უზრუნველყოფილი იქნება შიდა მოთხოვნის ზრდით და ბიუჯეტში გათვალისწინებული ფისკალური სტიმულების ღონისძიებებით. 2023 წლიდან ეკონომიკა გააგრძელებს საშუალოდ 5.1 პროცენტიან ზრდას, 2023-2025 წლებში.


დასაქმება და უმუშევრობა

2022 წლის მეორე კვარტალში უმუშევრობის დონემ 18.1 პროცენტი შეადგინა, რაც 0.9 პპ-ით ნაკლებია წინა კვარტალის მნიშვნელობაზე და 3.9 პპ-ით ნაკლებია წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით. მათ შორის, უმუშევრობა ქალაქად შეადგენდა 20.2 პროცენტს (-3.9 პპ წ/წ), ხოლო სოფლად - 15.1 პროცენტს (-3.9 პპ წ/წ). უმუშევრობის ყველაზე მაღალი დონით 15-24 და 25-34 ასაკობრივი ჯგუფები გამოირჩევა. 2022 წლის მეორე კვარტალში ეკონომიკურად აქტიურმა მოსახლეობამ შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობის (15 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობა) 51.5 პროცენტი შეადგინა. 2022 წლის მეორე კვარტალში, ქალების ჯგუფში უმუშევრობის დონემ შეადგინა 15.0 პროცენტი, ხოლო მამაკაცების ჯგუფში, აღნიშნულმა მაჩვენებელმა შეადგინა 20.5 პროცენტი.

2022 წლის მეორე კვარტალში დასაქმებულთა რაოდენობა გაიზარდა 4.6 პროცენტით წინა წლის შესაბამის კვარტალთან შედარებით, ხოლო 2.1 პროცენტული პუნქტით გაზრდილია დასაქმების დონე. ამავე პერიოდში უმუშევართა რაოდენობა წლიურად შემცირდა 18.3 პროცენტით. რაც შეეხება პროდუქტიულობას (რეალური გამოშვების შეფარდება დასაქმებულთა რაოდენობაზე), წლიურად გაიზარდა 2.4 პროცენტით. ამავე დროს, 16.1 პროცენტით გაიზარდა დასაქმებულთა საშუალო ნომინალური ხელფასი, რომელიც 2022 წლის მეორე კვარტალის მდგომარეობით შეადგენს 1,541.3 ლარს.


2022 წლის მეორე კვარტალში ადგილი ჰქონდა პროდუქტიულობის 2.4 პროცენტიან ზრდას წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით. პროდუქტიულობა გამოთვლილია რეალური მშპ-ს დასაქმებულთა რაოდენობაზე შეფარდების ზრდის ტემპით.

დიაგრამა 6: შრომის ბაზრის ინდიკატორები



წყარო: საქსტატი

დიაგრამა 7: პროდუქტიულობა და დასაქმებულთა საშუალო ხელფასი (წლიური ცვლილება, %)



წყარო: საქსტატი


ფასების დონე

2022 წლის დასაწყისიდან შეინიშნება წლიური ინფლაციის მიზნობრივ მაჩვენებელთან მნიშვნელოვანი გადაჭარბება. აღნიშნულის მიზეზს ძირითადად წარმოადგენს მიწოდების მხარეს არსებული ფაქტორები, როგორც არის საერთაშორისო სასაქონლო ბაზრებზე მნიშვნელოვნად გაძვირებული პროდუქცია და გლობალურად სატვირთო ტრანსპორტირების ხარჯების მკვეთრი ზრდა. ამავე დროს, წლიური ინფლაციის მაჩვენებელზე გავლენა იქონია კომუნალური გადასახადების ცვლილებამ, რადგან სუბსიდირების პროგრამის დასრულებამ აღნიშნული საქონლის ინფლაციის მაჩვენებელი იმაზე მეტად გაზარდა, ვიდრე თავდაპირველი შემცირება იყო და მთლიანი ინფლაციის მაჩვენებლის მატება გამოიწვია. ინფლაციაზე ასევე გავლენას ახდენს მნიშვნელოვნად გააქტიურებული შიდა მოთხოვნა, რომელიც აღარ არის ინფლაციის შემამცირებელი ფაქტორი როგორც ეს იყო წინა პერიოდებში, ეკონომიკური ვარდნის დროს. გლობალური ინფლაცია წარმოადგენს საერთაშორისო ორგანიზაციების განხილვის საკითხს. საერთაშორისო ბაზარზე ნედლეულის, ნავთობის, გაზის ფასების ზრდამ და მნიშვნელოვანმა ფისკალურმა სტიმულებმა გამოიწვია ინფლაციური წნეხის ზრდა. საერთაშორისო სავალუტო ფონდის ბოლო პროგნოზის მიხედვით (ოქტომბერი, 2022), მსოფლიოში მიმდინარე მოვლენებიდან გამომდინარე მსოფლიო ინფლაცია გაიზრდება ივლისის პროგნოზის 8.3 პროცენტიდან 8.8 პროცენტამდე, თუმცა მოსალოდნელია 2023 წელს მისი 6.5 პროცენტამდე, ხოლო 2024 წელს 4.1 პროცენტამდე შემცირება.

2022 წლის მესამე კვარტალში წლიურმა ინფლაციამ შეადგინა 11.3 პროცენტი. აღნიშნული ზრდა მნიშვნელოვნად არის გამოწვეული საერთაშორისო ბაზრებზე ნავთობისა და სასურსათო პროდუქტების მხარდი ფასებით, რაც აისახება ადგილობრივ ფასებში და კომუნალური გადასახადების სუბსიდირების პროგრამის გაუქმებით. ამავე დროს, წინა პერიოდებში გაუფასურებული ლარის გაცვლითი კურსის ზეგავლენით, მაღალ დონეზე რჩება იმპორტირებული ინფლაცია. საბაზო ინფლაცია (თამბაქოს გარეშე) კი მესამე კვარტალში გაუტოლდა 7.2 პროცენტს.


26 ოქტომბერს ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის კომიტეტმა მიიღო

დიაგრამა 8: წლიური ინფლაცია



წყარო: საქსტატი, სეზ

დიაგრამა 9: ინფლაციის დეკომპოზიცია




წყარო: საქსტატი, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

გადაწყვეტილება რეფინანსირების განაკვეთის გამკაცრებულ დონეზე, 11 პროცენტზე დატოვების შესახებ, ფასების შემდგომი მომატების მოლოდინების ზეწოლის შესამსუბუქებლად.

2022 წლის მესამე კვარტალის ჭრილში, მთლიან ინფლაციაში ადგილობრივი ინფლაციის წვლილი გაუტოლდა 5.6 პროცენტს, ხოლო იმპორტირებული ინფლაციის წვლილმა შეადგინა 3.0 პროცენტი. აღნიშნული დინამიკა გამოწვეულია სურსათზე ფასის მომატებით და სამომხმარებლო კალათაში სასურსათო საქონლის ჯგუფის მიერ შედარებით მაღალი წონის დაკავებით.

დიაგრამა 10: ინფლაციის დეკომპოზიცია, III კვარტალი, 2022



წყარო: საქსტატი


რეგიონის ეკონომიკის მიმოხილვა

COVID-19 პანდემიის შემდგომ, მსოფლიო ეკონომიკას ახასიათებდა V-სებრი ზრდის დინამიკა და კვლავ აღდგენის პერიოდში იყო. თუმცა, ზრდის პერსპექტივები გაუარესდა მას შემდეგ, რაც რუსეთი შეიჭრა უკრაინაში. რის შემდგომაც, IMF-ის აპრილის პროგნოზებით, მოსალოდნელი იყო რომ 2022 და 2023 წლებში მსოფლიო ეკონომიკა გაიზრდებოდა 3.6 პროცენტით, რაც 0.8 და 0.2 პ.პ-ით ნაკლები იყო ომამდელ პროგნოზებთან შედარებით. მიმდინარე პერიოდში მატერიალიზებული გლობალურმა რისკებმა, როგორიცაა შენარჩუნებული მაღალი ინფლაცია, დიდი ეკონომიკების შენელებული ზრდის ფონზე, IMF-მა მსოფლიო ეკონომიკის შემდგომი განახლება მოახდინა ივლისში და ოქტომბერში, ამ უკანასკნელზე დაყრდნობით 2023 წელს მსოფლიო ეკონომიკური ზრდა კიდევ უფრო შენელებულა. ოქტომბრის ეკონომიკური მიმოხილვის მიხედვით 2022-2023 წლებში მსოფლიო ეკონომიკის ზრდა შეადგენს 3.2 და 2.7 პროცენტს, რაც ივლისის პროგნოზთან შედარებით 0.0 და 0.2 პ.პ-ით ნაკლებია. 2021 წლის მაღალი ზრდის შემდგომ, ოქტომბრის პროგნოზით ევროზონის ეკონომიკა მოსალოდნელია, რომ გაიზრდება 3.1, რაც ივლისის პროგნოზთან შედარებით 0.5 პროცენტით მაღალია, მაგრამ 2023 წლის ზრდა წინა პროგნოზთან შედარებით შემცირდა 0.7 პროცენტით და 0.5 პროცენტს შეადგენს და 1.2 პროცენტით 2022 და 2023 წლებში.

იმის მიუხედავად რომ 2020 წელს თურქეთში არ ყოფილა რეცესია, მისი რეალური მშპ 2021 წელს 11.4 პროცენტით გაიზარდა. IMF-ის ოქტომბრის პროგნოზით, თურქეთის ეკონომიკა 5.0 და 3.0 პროცენტით გაიზრდება 2022-2023 წლებში. აღსანიშნავია, რომ ბოლო ორ განახლებაში (ივლისი და ოქტომბერი) თურქეთის ეკონომიკური ზრდა გაუმჯობესებულია 2022 წლისთვის. მთავარ გამოწვევას თურქეთისთვის კვლავ ლირის გაუფასურება და მაღალი ინფლაცია წარმოადგენს. ინფლაციის მიმდინარე პროგნოზი 2022 წლისთვის 73.1 პროცენტს შეადგენს, 2021 წლის 19.6 პროცენტთან ინფლაციის შემდეგ. რაც შეეხება თურქეთის საკრედიტო რეიტინგებს, ის არ შეცვლილა არც ერთი სარეიტინგო კომპანიის მიერ ომის მსვლელობისას. ბოლო ცვლილებით, Fitch-მა თურქეთის რეიტინგი BB- - იდან B+(ნეგატიური)-ზე დააქვეითა 2022 წლის 11 თებერვალს.


მსოფლიო ეკონომიკის ზრდის გაუარესების მთავარი მოქმედი ფეკრის - რუსეთის ეკონომიკა, სანქციების ფონზე, მოსალოდნელია რომ შემცირდეს. რუსეთის წინააღმდეგ დაწესებულ ზომებს, არა მხოლოდ მოკლევადიანი, არამედ საშუალოვადიანი გავლენაც ექნება, ვინაიდან მსხვილი მომხმარებლები და ქვეყნები უარს ამბობენ რუსეთთან გრძელვადიან პარტნიორობაზე ენერგო და სხვა სექტორებში.

დიაგრამა 11: ეკონომიკური ზრდა რეგიონში




წყარო: საერთაშორისო სავალუტო ფონდი

დიაგრამა 12: ინფლაცია რეგიონში




წყარო: საერთაშორისო სავალუტო ფონდი

დიაგრამა 13: მიმდინარე ანგარიშის შეფარდება მშპ-თან, %



დიაგრამა 14: ბიუჯეტის დეფიციტის შეფარდება მშპ-თან, %



2022 წელს მოსალოდნელია რომ რუსეთის რეალური მშპ შემცირდება 3.4 პროცენტით და 2.3 პროცენტით 2023 წელს. ეს პროგნოზები 2.6 და 1.2 პ.პ-ით მეტია ივლისის პროგნოზებზე. რუსეთის საშუალოვადიანი ზრდის ტემპი 1.0 პროცენტს შეადგენს, მაშინ როცა 2004-2013 წლებში საშუალო ზრდის ტემპი 4.2 პროცენტს შეადგენდა, ხოლო 2014-2020 წლებში - 2.1 პროცენტს. ყველა საკრედიტო სარეიტინგომ რუსეთის სუვერენული საკრედიტო რეიტინგი მკვეთრად გააუარესა და იმ ზღვარს მიაღწია, როდესაც ძალიან მაღალია დეფოლტის რისკი. Moody's -მა რუსეთის საკრედიტო რეიტინგი შეამცირა Ca (ნეგატიური)-მდე, Fitch-მა რეიტინგი დააქვეითა C-მდე, ხოლო S&P-მა CC-მდე. აღსანიშნავია, რომ ომამდელ პერიოდში სამივე საკრედიტო სააგენტოს მიხედვით რუსეთს გააჩნდა საინვესტიციო საკრედიტო რეიტინგი.

ომის შედეგად გაზრდილი ნავთობის ფასები დადებითად აისახება აზერბაიჯანის ეკონომიკაზე. ოქტომბერში აზერბაიჯანის ეკ. ზრდა გაუმჯობესდა. 2021 წლის მაღალი ზრდის შემდგომ, 2022 და 2023 წლებში აზერბაიჯანის რეალური მშპ-ს ზრდა 3.7 და 2.5 პროცენტით იქნება, ასევე გაუმჯობესდება მისი საშუალოვადიანი ზრდაც 1.8 პროცენტიდან 2.5 პროცენტამდე, ამ პერიოდში მოსალოდნელია ინფლაცია 12.3 და 8.7 პროცენტზე დაფიქსირდეს. 2022 წელს რაიმე ცვლილება საკრედიტო რეიტინგებში არ მომხდარა.

2021 წელს სომხეთმა კერძო ეკონომიკის პანდემიამდე დონესთან დაახლოება. მოსალოდნელი იყო, რომ რეგიონის ქვეყნებში, გარდა ომში ჩართული ქვეყნებისა, სომხეთის ეკონომიკა ყველაზე მეტად დაზარალებოდა, ვინაიდან მისი ეკონომიკა ყველაზე მეტადაა რუსეთის ეკონომიკაზე დამოკიდებული. მაგრამ არსებული რისკები არ მატერიალიზდა. IMF-ის ოქტომბრის პროგნოზით, 2022 წელს სომხეთის რეალური მშპ 7.0 პროცენტით გაიზრდება, 2023 წელს კი 3.5 პროცენტით, რაც საშუალოვადიან 4.5 პროცენტთან ზრდასთან ახლოსაა. ინფლაცია კვლავ მაღალი, 7.0 და 5 პროცენტი იქნება 2022-2023 წელს, რაც რეგიონის ქვეყნებზე დაბალია. სამივე სააგენტომ სომხეთის საკრედიტო რეიტინგი 1 ნოჩით შეამცირა. Moody's-მა Ba3 (ნეგატიური)-მდე, Fitch-მა და S&P-მ B+ (სტაბილური)-მდე.

უკრაინის გარშემო მდგომარეობა გაურკვეველი რჩება. IMF არ აკეთებს რაიმე პროგნოზს 2022 წლის შემდგომ პერიოდზე, ვინაიდან მდგომარეობა მერყევა და ბევრი რამ შესაძლოა შეიცვალოს მიმდინარე და მომავალ პერიოდში. მათი მიხედვით, 2022 წელს უკრაინის ეკონომიკა შემცირდება 35.0 პროცენტით, რაც პირდაპირაა გამოწვეული რუსეთის ომით უკრაინაში, რამაც გამოიწვია ჰუმანიტარული კატასტროფა, დაანგრია ინფრასტრუქტურა და დევნილად აქცია მისი მოსახლეობა.

საგარეო სექტორი


მიმდინარე ანგარიშის ბალანსი

2020 წელს მიმდინარე ანგარიშის დეფიციტმა მშპ-ს 12.5 პროცენტი შეადგინა, რაც მნიშვნელოვანი გაუარესებაა 2019 წლის 5.8 პროცენტიანი დეფიციტის შემდეგ. 2021 წლის პირველი კვარტალიდან მიმდინარე ანგარიშის დეფიციტმა გაუმჯობესება დაიწყო. 2021 წელს მშპ-ს 10.4 პროცენტი შეადგინა. 2022 წლის პირველ კვარტალში მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი კვლავ გაუარესდა და მშპ-ს 13.0%-ს გაუტოლდა, ხოლო მეორე კვარტალში 4.2%-ს.

მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის დაფინანსება ხდება ვალით და პირდაპირი უცხოური ინვესტიციებით. დეფიციტის ვალით დაფინანსება გულისხმობს ახალი ვალის აღებას და შესაბამისად, უფრო მეტი ხარჯის გაწევას ვალის მომსახურებაზე. ამ მხრივ მნიშვნელოვანია, რომ მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის დაფინანსება პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ზრდის ხარჯზე განხორციელდეს. საქართველოში ბოლო პერიოდში უმჯობესდებოდა მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის დაფინანსების სტრუქტურა და 2017 წელს დეფიციტი მთლიანად იყო პირდაპირი უცხოური ინვესტიციებით დაფინანსებული. რაც შეეხება შემდგომ პერიოდს, დეფიციტის დაფინანსებაში საგარეო ვალი საკმაოდ დიდი წვლილით მონაწილეობს. განსაკუთრებით კი აღსანიშნავია 2020 წელი, როცა ვალით დაფინანსებამ საკმაოდ დიდი წვლილი შეიტანა დეფიციტის დაფინანსებაში.


2022 წლის მეორე კვარტალში ვალის წილმა უარყოფითი წვლილი შეიტანა მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის დაფინანსებაში. კერძოდ მიმდინარე ანგარიშის დეფიციტის მატების ფონზე, 2022 წლის მეორე კვარტლის განმავლობაში FDI-ის წილი მის დაფინანსებაში 4.7 კპ-ს შეადგენს, ხოლო ვალის წვლილი -0.5 კპ-ია.

დიაგრამა 15: მიმდინარე ანგარიშის შეფარდება მშპ-თან, %




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი, საქსტატი

დიაგრამა 16: ადგილობრივი ინვესტიციების დაფინანსება




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი, საქსტატი

დიაგრამა 17: მიმდინარე ანგარიშის დაფინანსება




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი, საქსტატი

დიაგრამა 18: საგარეო ვალი




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი, საქსტატი

დიაგრამა 19: ვალის მშპ-თან თანაფარდობის ცვლილება



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი, საქსტატი

დიაგრამა 20: პირდაპირი უცხოური ინვესტიციები



წყარო: საქსტატი

საგარეო ვალი

მიმდინარე ანგარიშის დეფიციტთან ერთად, საქართველოს ეკონომიკის დამატებით სისუსტედ საგარეო ვალი მიიჩნევა, რაც კვლავ რჩება მოწყვლადობის ძირითად წყაროდ. საგარეო ვალი შედგება როგორც სამთავრობო სექტორის ვალისგან, ასევე - კომერციული და ეროვნული ბანკის საგარეო ვალისგან და კომპანიათაშორისი სესხებისგან.

მიმდინარე პანდემიის პირობებში საქართველოს მთლიანი საგარეო ვალი მნიშვნელოვნად გაიზარდა 2020 წელს და მთლიანი შიდა პროდუქტის 129.9 პროცენტი შეადგინა. წინა წელთან შედარებით კი 23.2 პ.პ-ით გაიზარდა. საგარეო ვალის ზრდა მნიშვნელოვნად იყო გამოწვეული სამთავრობო სექტორის ვალის ზრდით, მიმდინარე პანდემიისას განხორციელებული ღონისძიებებისა და მოზიდული დაფინანსების გამო. რაც შეეხება 2021 წელს, შეინიშნება საგარეო ვალის კლება. აღნიშნულ პერიოდში საგარეო ვალმა მთლიანი შიდა პროდუქტის 117.8 პროცენტი შეადგინა, რაც 12.1 პ.პ-ით ნაკლებია წინა წლის მონაცემთან შედარებით. კლების მიზეზს წარმოადგენს ეკონომიკური აქტივობის დაჩქარება და შესაბამისად, ნომინალური მშპ-ს მოსალოდნელო მეტად ზრდა. რაც შეეხება 2022 წლის მეორე კვარტალს, საგარეო ვალმა 104.8 პროცენტი შეადგინა, რაც ვალის კლების ტენდენციის გაგრძელებას აჩვენებს.

საგარეო ვალის ცვლილების დეტალური ანალიზი წარმოდგენილია როგორც საოპერაციო ანუ ვალის აღებით, ასევე - საფასო ეფექტით, გაცვლითი კურსის ცვლილებითა და ნომინალური მთლიანი შიდა პროდუქტის ცვლილებით. აღსანიშნავია, რომ 2015-2016 წლებში საგარეო ვალის ზრდაში ყველაზე დიდი წვლილი გაცვლითი კურსის გაუფასურებამ შეიტანა, ხოლო მშპ ძირითადად ხელს უწყობდა საგარეო ვალის შემცირებას. რაც შეეხება 2021 წლის მესამე კვარტალს, ვალი 4.1 პ.პ-ით არის შემცირებული, რომელშიც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ნომინალური მშპ-ს ზრდამ მესამე კვარტალში, -4.8 პპ კონტრიბუცია მთლიან ზრდაში. გაცვლით კურსი აღარ წარმოადგენს ვალის ზრდის ერთ-ერთ წყაროს (-0.1 პპ კონტრიბუცია მთლიან ზრდაში). მიმდინარე ანგარიშის დეფიციტი კვლავ სტაბილურად ვალის ზრდის განმაპირობებელი ფაქტორია (+2.1 პპ კონტრიბუცია მთლიან ზრდაში).

პირდაპირი უცხოური ინვესტიციები


2022 წლის მეორე კვარტალში ინვესტიციების მოცულობამ 351.8 მლნ აშშ დოლარი შეადგინა (მშპ-ს 5.9 პროცენტი), რაც 9.1 პროცენტით მეტია წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით.

2022 წლის მეორე კვარტალში ყველაზე მეტი ინვესტიცია გაერთიანებული სამეფოდან (18.4 პროცენტი მთლიან FDI-ში) შემოვიდა, ხოლო მეორე და მესამე ადგილს ინაწილებენ ნიდერლანდები და იაპონია, შესაბამისი 12.7 პროცენტი და 11.9 პროცენტი წილებით მთლიან FDI-ში.

ინვესტიციები ძირითადად განხორციელდა ენერგეტიკაში და 76.7 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა (მთლიანი ინვესტიციების 21.8 პროცენტი), ასევე მაღალი წილი მთლიან ინვესტიციებში უკავია უძრავი ქონების სექტორს 75.6 მილიონი აშშ დოლარით (21.5 პროცენტი) და უძრავი ქონების სექტორს 47.6 მილიონი აშშ დოლარით (13.5 პროცენტი).


რაც შეეხება პირდაპირი უცხოური ინვესტიციების კომპონენტებს, 2022 წლის მეორე კვარტალში რეინვესტირებულმა შემოსავლებმა მშპ-ს 4.0 პროცენტი შეადგინა, რაც მთლიანი FDI-ს 68.3 პროცენტს შეადგენს.

დიაგრამა 21: პირდაპირი უცხოური ინვესტიციები




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი, საქსტატი

დიაგრამა 22: FDI-ის განაწილება, 2022 II კვარტალი




დიაგრამა 23: საგარეო ვაჭრობა, იანვარი-სექტემბერი




წყარო: საქსტატი

დიაგრამა 24: ადგილობრივი ექსპორტის წლიური ცვლილება




წყარო: საქსტატი

დიაგრამა 25: იმპორტის წლიური ცვლილება



წყარო: საქსტატი

დიაგრამა 26: იმპორტის ცვლილების დეკომპოზიცია



წყარო: საქსტატი; ავტორის გაანგარიშება

საგარეო ვაჭრობა

2020 წელს COVID 19-ის პანდემიის ფონზე, მსოფლიოში საგარეო ვაჭრობამ იკლო, რაც საქართველოს ეკონომიკაზეც აისახა. შემცირებული საწარმოო და სამომხმარებლო აქტივობების ფონზე იმპორტმა კლება განიცადა, ხოლო 2020 წლის პირველ ნახევარში შემცირდა ექსპორტიც.

2021 წელს, მას შემდეგ რაც მსოფლიოში და მათ შორის საქართველოშიც დაიწყო შეზღუდვების მოხსნა, საგარეო ვაჭრობამ სწრაფი ტემპებით დაიწყო აღდგენა. გაზრდილ ექსპორტთან ერთად, სწრაფი ტემპებით აღდგა იმპორტიც. ამასთან, ფასების ზრდამ განაპირობა როგორც ექსპორტის, ასევე - იმპორტის ზრდაში ფასიამიერი ზრდის წვლილის გაზრდაც. შესაბამისად, 2022 წლის მესამე კვარტალში ადგილობრივი ექსპორტის ნომინალურმა ზრდამ წლიურ 18.6 პროცენტთან ზრდას მიაღწია, საიდანაც ძირითადი, 17.6 პროცენტი ფასისმიერი ზრდა იყო (1.0 პროცენტის რეალური ზრდა). ამავე პერიოდში იმპორტი 29.0 პროცენტით გაიზარდა, სადაც ზრდის 14.6 პროცენტი იმპორტის ფასების ცვლილებაზე მოდის.

2022 წლის მესამე კვარტალში, საინვესტიციო პროდუქტის იმპორტი გაიზარდა 21.0 პროცენტით (6.2 კპ წილი მთლიან იმპორტში). მაღალი ზრდა დაფიქსირდა სამომხმარებლო პროდუქტის იმპორტშიც და 46.0 პროცენტს გაუტოლდა (14.3 კპ მთლიან იმპორტში). რაც შეეხება შუალედურ პროდუქტს, ზრდამ 21.4 პროცენტი შეადგინა (8.4 კპ მთლიან იმპორტში). 2022 წლის მესამე კვარტალში საქონლის ექსპორტი გაიზარდა 40.5 პროცენტით. ექსპორტის მთავარი შემადგენელი ნაწილი კვლავ მსუბუქი ავტომობილების, (მთლიანი ექსპორტის 20.9 პროცენტი), ასევე დიდი წილი სპილენძის მადნებისა და კონცენტრატებისა (მთლიანი ექსპორტის 14.3 პროცენტი) და ფეროშენადნობების (მთლიანი ექსპორტის 8.4 პროცენტი) ექსპორტს უკავიათ. უმსხვილესი საიმპორტო სასაქონლო ჯგუფი კვლავ ნავთობპროდუქტებმა, მსუბუქმა ავტომობილებმა და სპილენძის მადნებმა და კონცენტრატებმა შეადგინა.

ტურიზმი


პანდემიურ 2020 წელს, როდესაც ეკონომიკა მკაცრი შეზღუდვების პირობებში ფუნქციონირებდა, განსაკუთრებით დიდი დარცმამ ტურიზმის სექტორმა მიიღო. საზღვრების ჩაკეტვამ და საერთაშორისო მოგზაურობის შეწყვეტამ 2020 წელს ტურისტების რაოდენობა თითქმის გაანულა. 2021 წლიდან ეტაპობრივად დაიწყო ტურიზმის სექტორის გაჯანსაღება. 2021 წლის მეორე კვარტალიდან ტურიზმიდან შემოსავლები წლიურად გაიზარდა. აღნიშნული ტენდენცია შენარჩუნდა შემდგომ კვარტალებშიც. 2022 წლის მესამე კვარტალში ტურიზმიდან შემოსავალმა 1374.7 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა, რაც წინა წლის ამავე პერიოდის მაჩვენებელს 142.9 პროცენტით აღემატება, ხოლო 2019 წლის მაჩვენებლის 122 პროცენტს შეადგენს.

ფულადი გზავნილები

2022 წელს, მეორე კვარტალში წმინდა ფულადი გზავნილების მოცულობამ 1,158 მილიონი აშშ დოლარი შეადგინა, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 127.6 პროცენტით გაიზარდა.


რაც შეეხება 2022 წლის მესამე კვარტალს, წმინდა ფულადი გზავნილების მოცულობა არის 938.3 მილიონი აშშ დოლარი, რაც წინა წლის ამავე პერიოდის მაჩვენებელს აღემატება 73.8 პროცენტით. ზრდაში ძირითადი წვლილი შეიტანა რუსეთმა 52.5 პ.პ-ით. ასევე დადებითი წვლილი შეიტანეს გერმანიამ (2.6 პ.პ.), აშშ-მ (1.6 პ.პ.), იტალიამ (1.4 პ.პ.), ისრაელმა (0.5 პ.პ.), თურქეთმა (0.2 პ.პ.). კლება დაფიქსირდა უკრაინიდან წმინდა ფულად გზავნილებში 199.8 პროცენტით, რამაც უარყოფითი წვლილი შეიტანა მთლიან ზრდაში 5.6 პ.პ-ით, ასევე შემცირდა წმინდა გზავნილები საბერძნეთიდან 8.2 პროცენტით, რამაც 0.9 პ.პ-ით შეამცირა მთლიანი ზრდა და აზერბაიჯანიდან 171.4 პროცენტით, რამაც 1.7 პ.პ-ით შეამცირა მთლიანი ზრდა. აღსანიშნავია, რომ ბოლო პერიოდში რუსეთიდან ფულადი გზავნილები შემცირებული იყო და უარყოფითი წვლილი ჰქონდა გზავნილების ზრდაში. აღნიშნული დინამიკა შეიცვალა 2021 წელს, რაც შეიძლება დაკავშირებული იყოს ნავთობის ფასის ზრდასთან. 2022 წლის მესამე კვარტალში მან უდიდესი წვლილი შეიტანა და 52.5 პ.პ-ით გაზარდა მთლიანი ზრდა.

დიაგრამა 27: ტურიზმიდან მიღებული შემოსავალი, 2019 = 100




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

დიაგრამა 28: ტურიზმის აღდგენა ქვეყნების მიხედვით, 2019 წლის შესაბამისი თვე = 100, %



დიაგრამა 29: წმინდა ფულადი გზავნილები




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

სხვა ქვეყნებზე დამოკიდებულება


საქართველოს ეკონომიკა დივერსიფიცირებულია სხვა ქვეყნებზე დამოკიდებულების მიხედვით. მიმდინარე ანგარიშის შემოსულობებში ექსპორტის, ტურიზმისა და ტრანსფერების წილების მიხედვით, საქართველო ყველაზე მეტად დამოკიდებულია რუსეთზე, თურქეთზე, უკრაინასა და ევროკავშირის ქვეყნებზე. 2022 წლის პირველი კვარტალის მიხედვით, რუსეთზე დამოკიდებულებას დიდი ცვლილება არ განუცდია და 2020-2021 წლების მნიშვნელობას ოდნავ აღემატება და 9.4%-ს შეადგენს მთლიან შემოსულობებში, რუსეთზე დამოკიდებულების მთავარი განმაპირობებელი საქონლის ექსპორტია. თურქეთზე დამოკიდებულება კვლავ სტაბილურია, მაგრამ ბოლო კვარტალში შეინიშნება მატება წინა კვარტალთან შედარებით. მცირედით შემცირდა დამოკიდებულება უკრაინაზე, რაც გამოწვეულია უკრაინიდან ფულადი გზავნილების შემცირებით, აღნიშნული ტენდენცია მოსალოდნელია რომ გაგრძელდეს მიმდინარე წელსაც, რუსეთ-უკრაინის ომის პირობებში. მაღალ ნიშნულს ინარჩუნებს ევროკავშირზე დამოკიდებულება, რომელიც 2021 წლის მესამე კვარტალიდან მატებას განაგრძობს.

დიაგრამა 30: დამოკიდებულება სავაჭრო პარტნიორებზე


ევროკავშირი და ბრიტანეთი




რუსეთი



თურქეთი




უკრაინა




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი, საქსტატი

დიაგრამა 31: ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსი




დიაგრამა 32: რეალური ეფექტური გაცვლითი კურსი



დიაგრამა 33: გაცვლითი კურსის მერყეობა

ყოველდღიური გაცვლითი კურსის სტანდარტული გადახრა



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი, საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

ცხრილი 1: ნომინალური ეფექტური და რეალური ეფექტური გაცვლითი კურსების ცვლილება

	30 სექტემბერი, 2022	30 სექ 2022 - 1 იან 2022	30 სექ 2022 - 1 იან 2021
ევრო	2.7482	▲ 17.0%	▲ 11.3%
აშშ დოლარი	2.8352	▲ 1.1%	▼ -5.7%
თურქული ლირა	0.1529	▲ 215.0%	▲ 230.5%
რუსული რუბლი	0.0490	▼ -5.9%	▼ -21.6%
ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსი	137.07	▲ 4.5%	▲ 23.9%
რეალური ეფექტური გაცვლითი კურსი (ივლისი, 2022)	139.94	▲ 11.2%	▲ 33.4%

წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

ბაცვლითი კურსი

COVID-19 პანდემიის საწყის ეტაპზე, მაღალი გაურკვევლობის პირობებში, მთელ მსოფლიოში აღინიშნებოდა დოლარის გამყარება. 2021 წლიდან კი დოლარმა შესუსტება დაიწყო, როგორც განვითარებად, ისე - განვითარებული ქვეყნების ვალუტებთან. მსგავს ტრაექტორიას გაყვამ ღარივს. 2021 წლის აპრილიდან, ღარივმა სწრაფი გამყარება დაიწყო, რასაც ხელს უწყობდა როგორც დოლარის დადმავალი ტენდენცია, ასევე სწრაფად მზარდი ექსპორტი და გაუმჯობესებული მოლოდინები. 2022 წლის დასაწყისიდან შეინიშნებოდა ღარივის გამყარება, მაგრამ რუსეთის მიერ უკრაინაში წამოწყებული ომის შემდგომ, ღარივმა მკეთრად გაუფასურდა შემდგომ კი დასტაბილურება დაიწყო გამყარების მხრივ. ამ ყველაფერმა გაზარდა ღარივის მერყეობა, მაგრამ ღარივის გაზრდილი მერყეობა თანხვედაშია საქრთველოს სავაჭრო პარტნიორი ქვეყნების ვალუტების ქცევასთან. გაზაფხულის ბოლოს და ზაფხულში ღარივმა განაგრძო გამყარება, რასაც ხელს უწყობს გაზრდილი სავალუტო შემოსულობები, რისი ერთ-ერთი განმაპირობებელი ფაქტორი რუსეთ-უკრაინის ომით გამოწვეული მიგრაციაა. 2022 წლის მეორე კვარტალში ღარივი დოლართან მიმართებაში გამყარდა 9.9 პროცენტით, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით. ევროსთან კი 20.1 პროცენტით. რაც შეეხება ლირას, ღარივი 51.9 პროცენტით გამყარდა ამავე პერიოდში, ხოლო რუბლთან 1.0 პროცენტით. 2022 წლის მეორე კვარტალში ღარივის ნომინალური და რეალური ეფექტური გაცვლითი კურსი მკვეთრად გამყარდა და მათ საშუალოვადიან ტრენდს აღემატება შესაბამისი 12.95 და 12.15 პროცენტით.

ფისკალური სექტორი


ნაერთი ბიუჯეტის შესრულება

2022 წლის მესამე კვარტალში ნაერთი ბიუჯეტის გადასახადებიდან მიღებული შემოსავლის საპროგნოზო მაჩვენებელი განისაზღვრა 3,627 მლნ ლარით, საანგარიშო პერიოდში კი მობილიზებულ იქნა 4,022 მლნ ლარი, რაც შეადგენს საპროგნოზო მაჩვენებლის 110.9 პროცენტს.

- საშემოსავლო გადასახადის სახით მობილიზებულია 1,290 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (1,161 მლნ ლარი) 111.1 პროცენტია.
- მოგების გადასახადის სახით მობილიზებულია 422 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (381 მლნ ლარი) 110.7 პროცენტია.
- დამატებული ღირებულების გადასახადის სახით მობილიზებულია 2,004 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (1,795 მლნ ლარი) 111.6 პროცენტია.
- აქციის სახით მობილიზებულია 627 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (530 მლნ ლარი) 118.3 პროცენტია.
- იმპორტის გადასახადის სახით მობილიზებულია 35 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (20 მლნ ლარი) 174.8 პროცენტია.
- ქონების გადასახადის სახით მობილიზებულია 18 მლნ ლარი, რაც საპროგნოზო მაჩვენებლის (15 მლნ ლარი) 121.6 პროცენტია.


2022 წლის მესამე კვარტალში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლები გაიზარდა 15.4 პროცენტით, ხოლო ხარჯები გაიზარდა 7.2 პროცენტით. ამავე დროს, ნაერთი ბიუჯეტის საოპერაციო სალდომ, რაც წარმოადგენს მთავრობის დანაზოგს, შეადგინა 479.1 მლნ ლარი, ხოლო მთლიანი სალდო განისაზღვრა -768.4 მლნ ლარით.

დიაგრამა 34: ნაერთი ბიუჯეტის შესრულება




წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

დიაგრამა 35: ნაერთი ბიუჯეტის სალდო




წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

დიაგრამა 36: გადასახადებიდან მიღებული შემოსავალი



წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

დიაგრამა 37: ნაერთი ბიუჯეტის ხარჯები



წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

საბიუჯეტო შემოსავლებში მნიშვნელოვან წილს იკავებს გადასახადებიდან მიღებული შემოსავალი, რაც 2022 წლის მესამე კვარტალის მონაცემებით შეადგენს 90.2 პროცენტს. ნაერთმა ბიუჯეტმა გადასახადებიდან მიიღო 4,022 მლნ ლარი, რაც 15.0 პროცენტით მეტია წინა წლის მაჩვენებელზე. საშემოსავლო გადასახადებიდან მიღებული შემოსავალი წლიურად გაიზარდა 24.1 პროცენტით და გაუტოლდა 1,290 მლნ ლარს. მაღალი ზრდა შეინიშნება მოგების გადასახადებიდან მიღებული შემოსავლის სახით, რაც წლიურად გაიზარდა 80.1 პროცენტით წინა წლის მესამე კვარტალთან შედარებით და გაუტოლდა 422 მლნ ლარს, რაც შეადგენს საგადასახადო შემოსავლების 10.5 პროცენტს. ამავე დროს, გადასახადებიდან მიღებულ შემოსავალში მნიშვნელოვანი ზრდა შეინიშნება დამატებული ღირებულებისა და იმპორტის გადასახადებში. კერძოდ, დამატებული ღირებულების გადასახადებიდან მიღებული შემოსავალი გაიზარდა 21.3 პროცენტით და მოიცავს საგადასახადო შემოსავლების 49.8 პროცენტს. რაც შეეხება იმპორტის გადასახადებიდან მიღებულ შემოსავალს, მისი წილი შეადგენს 0.9 პროცენტს, ხოლო ზრდის ტემპი გაუტოლდა 62.0 პროცენტს.


2022 წლის მესამე კვარტალში ხარჯები წლიურად გაიზარდა 7.2 პროცენტით და შეადგინა 3,982 მლნ ლარი. ბიუჯეტის ხარჯების ნაწილში ყველაზე დიდი წილი უკავია სოციალურ უზრუნველყოფაზე გაწეულ ხარჯებს, რომელიც შეადგენს მთლიანი ხარჯების 38.6 პროცენტს, ხოლო წლიური ზრდის ტემპი შემცირდა და ტოლია -0.9 პროცენტის. გაიზარდა საქონელსა და მომსახურებაზე გაწეული ხარჯები, რომლის წლიური ზრდის ტემპი გაუტოლდა 0.7 პროცენტს და შეადგინა 562 მლნ ლარი, რაც არის მთლიანი ხარჯების 14.1 პროცენტი. რაც შეეხება ხარჯების დანარჩენ მუხლებს, შრომის ანაზღაურებას (მთლიანი ხარჯების 13.6 პროცენტი), სუბსიდიებს (მთლიანი ხარჯების 11.6 პროცენტი), პროცენტს (მთლიანი ხარჯების 5.5 პროცენტი) და სხვა ხარჯებს (მთლიანი ხარჯების 16.5 პროცენტი), 2021 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, შესაბამისად, 13.0 პროცენტით, 3.8 პროცენტით, 21.2 პროცენტით და 33.1 პროცენტით მეტი იქნა მათზე მიმართული.

საქართველოს სახელმწიფო ვალი

2022 წლის 30 სექტემბრის მდგომარეობით საქართველოს სახელმწიფო ვალის ნაშთმა შეადგინა 28,193 მლნ ლარი, მათ შორის:

- ❑ სახელმწიფო საშინაო ვალის ნაშთი შეადგენს 6,716.2 მლნ ლარს, მათ შორის:
 - ეროვნული ბანკისათვის განკუთვნილი ერთწლიანი ყოველწლიურად განახლებადი სახელმწიფო ობლიგაცია („ობლიგაცია სეპ-ისთვის“) – 120.8 მლნ ლარი;
 - სხვადასხვა ვადის მქონე სახელმწიფო ობლიგაციები ღია ბაზრის ოპერაციებისათვის („ობლიგაციები ღია ბაზრისთვის“) – 160.0 მლნ ლარი;
 - ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ვალდებულებები - 415.0 მლნ ლარი;
 - ფინანსთა სამინისტროს სახაზინო ობლიგაციები - 5,978.0 მლნ ლარი;
- ❑ სახელმწიფო საგარეო ვალის ნაშთი შეადგენს 21,478.6 მლნ ლარს.

დიაგრამა 38: საქართველოს სახელმწიფო ვალი



წყარო: საქართველოს ფინანსთა სამინისტრო

მონეტარული სექტორი

კარძო სექტორის ლარიზაცია



სესხების ლარიზაციას მზარდი ტენდენცია გააჩნია, 2022 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით მთლიანი სესხების ნაშთების ლარიზაცია 54.4 პროცენტს გაუტოლდა. აღსანიშნავია, რომ მთლიანი სესხების ლარიზაციის ძირითად დეტერმინანტს კვლავ ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხების ლარიზაცია წარმოადგენს. 2022 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით, ფიზიკურ პირებზე გაცემული სესხების ნაშთებზე ლარიზაციამ 69.5 პროცენტი, ხოლო იურიდიულ პირებზე გაცემული სესხების ნაშთებზე 36.7 პროცენტი შეადგინა.

რაც შეეხება სესხების ლარიზაციას უზრუნველყოფის მიხედვით, სამომხმარებლო სესხების ლარიზაცია მნიშვნელოვნად აღემატება უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხების ლარიზაციას. სამომხმარებლო სესხების ლარიზაცია 2021 წლის განმავლობაში 88 პროცენტის ირგვლის დასტაბილურდა და 2022 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით 89.1 პროცენტი შეადგენა, რაც შეეხება იპოთეკური სესხების ლარიზაციას, ის ამავე პერიოდში 44.4 პროცენტს გაუტოლდა.



დეპოზიტების ლარიზაცია მნიშვნელოვნად ჩამოუვარდება სესხების ლარიზაციას. მთლიანი დეპოზიტების ლარიზაცია 2022 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით 42.0 პროცენტი შეადგინა. დეპოზიტების ლარიზაციას მნიშვნელოვნად განაპირობებს იურიდიული პირების დეპოზიტების ლარიზაცია, რაც 2022 წლის 1 ოქტომბრის 67.5 პროცენტს გაუტოლდა, ხოლო ამავე პერიოდში ფიზიკური პირების დეპოზიტების ლარიზაცია 26.5 პროცენტს შეადგენს.

აღსანიშნავია, რომ დეპოზიტების ლარიზაციაში ძირითად კონტრიბუტორს კვლავ ვადიანი დეპოზიტების ლარიზაცია წარმოადგენს, 2022 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით მისი მნიშვნელობა 50.9 პროცენტს გაუტოლდა. ამავე პერიოდში მიმდინარე ანგარიშების ლარიზაცია 38.9 პროცენტს შეადგენს, ხოლო მოთხოვნამდე დეპოზიტების ლარიზაცია 33.6 პროცენტს გაუტოლდა.

დიაგრამა 39: სესხების ლარიზაცია




დიაგრამა 40: დეპოზიტების ლარიზაცია




წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

დიაგრამა 41: სესხების წლიური ზრდა



დიაგრამა 42: უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხების წლიური ზრდა



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

სახსების მიმოხილვა

2022 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით 2021 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით მთლიანი სესხები 10.0 პროცენტით გაიზარდა, რაც 5.8 პროცენტული პუნქტით ჩამოუვარდება წინა კვარტალში დაფიქსირებულ მნიშვნელობას (კურსის ეფექტის გამოცხადებით). აგრეთვე მნიშვნელოვანი ზრდა შეინიშნება იურიდიული პირების სესხების წლიურ ზრდაშიც, რამაც განაპირობა 2022 წლის 1 ოქტომბრის მისი მნიშვნელობის 3.3 პროცენტამდე ზრდა, რაც 9.7 პროცენტული პუნქტით ჩამოუვარდება წინა კვარტალის მაჩვენებელს, ამავე პერიოდში ფიზიკური პირების სესხების წლიური ზრდა 16.1 პროცენტს შეადგენს.

აღსანიშნავია რომ ეროვნული ვალუტაში დენომინირებული სესხების ზრდას ბოლო პერიოდში ზრდის მაღალ ტემპს ინარჩუნებს. 2022 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით მისი მნიშვნელობა 18.5 პროცენტს გაუტოლდა. ამავე პერიოდში უცხოურ ვალუტაში დენომინირებული სესხების ზრდამ 1.3 პროცენტი შეადგინა, რაც 9.9 პროცენტული პუნქტით აღემატება გასული კვარტალის მნიშვნელობას (კურსის ეფექტის გამოცხადებით).

2022 წლის 30 სექტემბრის მდგომარეობით უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხების წლიურმა ზრდამ 10.1 პროცენტი შეადგინა. ამასთან აღსანიშნავია, რომ ეროვნულ ვალუტაში დენომინირებულ იპოთეკურ სესხებში 19.8 პროცენტიანი ზრდა დაფიქსირდა და 0.7 პროცენტული პუნქტით აღემატება წინა კვარტალის მნიშვნელობას, ხოლო უცხოურ ვალუტაში დენომინირებული იპოთეკური სესხების ზრდა უფრო დაბალია წინა კვარტალთან შედარებით და 3.3 პროცენტს შეადგენს.




დეპოზიტების მიმოხილვა

მთლიანი დეპოზიტების ზრდა 2022 წლის 1 ოქტომბერს, 2021 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, 27.4 პროცენტს შეადგენს, რაც 12.7 პროცენტული პუნქტით აღემატება წინა კვარტლის შესაბამის მაჩვენებელს. ამის ძირითად მიზეზს წარმოადგენს როგორც ეროვნულ, ისე უცხოურ ვალუტაში დენომინირებული დეპოზიტების ზრდა. ეროვნულ ვალუტაში დენომინირებული დეპოზიტები წინა კვარტალთან შედარებით 12.1 პროცენტული პუნქტით გაიზარდა (გაცვლითი კურსის ეფექტის გამორიცხვით) და 1 ოქტომბრის მდგომარეობით 28.6 პროცენტი შეადგინა, ამავე პერიოდში კი უცხოური ვალუტით დენომინირებული დეპოზიტების წლიურმა ზრდამ 26.5 პროცენტი შეადგინა.

2022 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით, ფიზიკური პირების დეპოზიტების ზრდამ 24.8 პროცენტი შეადგინა, ასევე იურიდიული პირების დეპოზიტების წლიურმა ზრდამ იმავე პერიოდში 12.6 პროცენტს გაუტოლდა.


რაც შეეხება დეპოზიტების ზრდას ტიპების მიხედვით, ვადიან დეპოზიტებში, წლიური ზრდის ტემპმა შეადგინა 15.7 პროცენტი. რაც შეეხება მიმდინარე ანგარიშსა და მოთხოვნამდე დეპოზიტებს, მათ წლიურმა ზრდამ 1 ოქტომბრის მდგომარეობით შეადგინა 31.0 და 41.9 პროცენტი.

დიაგრამა 43: დეპოზიტების წლიური ზრდა
01.10.20



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

დიაგრამა 44: ინფლაცია და მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი




მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი

საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის კომიტეტმა 2022 წლის მესამე კვარტალში ჩაატარა 2 სხდომა, 3 აგვისტოსა და 14 სექტემბრის სხდომაზე რეფინანსირების განაკვეთი უცვლელად დარჩა 11.0 პროცენტზე.

ინფლაციური წნეხი კვლავ საკმაოდ მაღალია როგორც საქართველოში, ასევე დანარჩენ მსოფლიოში. რუსეთ-უკრაინის ომის ფონზე, რუსეთისთვის დაწესებულმა საერთაშორისო სანქციებმა და მიწოდების ჯაჭვების დამატებითმა რღვევამ, მსოფლიო ბაზრებზე საკვები პროდუქტები, ნედლეული და ენერგორესურსები მნიშვნელოვნად გააძვირა. ინფლაციურ რისკებს ასევე ის ფაქტიც აძლიერებს, რომ, ერთმანეთის მიმართული შოკების ფონზე, ინფლაცია მისი მიზნობრივი მაჩვენებლიდან ხანგრძლივად არის გადახრილი. თუმცა, ბოლო დროს საერთაშორისო ბაზრებზე პოზიტიური ტენდენცია შეინიშნება. ბრენტის ნავთობის ფასი და საერთაშორისო ტრანსპორტირების ღირებულება შემცირებას განაგრძობს.

2022 წლის მე-3 კვარტალში ეროვნულმა ბანკმა სავალუტო აუქციონების გზით 13.6 მილიონი აშშ დოლარი გაყიდა.

დიაგრამა 45: სებ-ის სავალუტო აუქციონზე აშშ დოლარით ვაჭრობის დინამიკა, მლნ



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

საპროცენტო განაკვეთები


2022 წლის 1 ოქტომბრისთვის, უცხოური ვალუტით განთავსებულ დეპოზიტებზე საპროცენტო განაკვეთმა 1.4 პროცენტი შეადგინა, ხოლო ეროვნული ვალუტით - 10.7 პროცენტს უტოლდება.

2022 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით, იურიდიული პირების მიერ ეროვნულ ვალუტაში განთავსებულ დეპოზიტებზე საშუალო შეწონილი საპროცენტო განაკვეთი 11.0 პროცენტს გაუტოლდა, ხოლო უცხოური ვალუტით - 1.7 პროცენტს. ამავე პერიოდში ფიზიკური პირების დეპოზიტებზე საშუალო წლიური საპროცენტო განაკვეთები უცხოური ვალუტით განთავსებულ დეპოზიტებზე 1.4 პროცენტს, ხოლო ეროვნული ვალუტით - 10.7 პროცენტს შეადგენს.



2022 წლის 1 ოქტომბრის საშუალო წლიური შეწონილი საპროცენტი განაკვეთი მოკლევადიან სამომხმარებლო სესხებზე 17.6 პროცენტს გაუტოლდა (ეროვნული ვალუტით - 19.3 პროცენტი, ხოლო უცხოური ვალუტით - 6.8 პროცენტი). გრძელვადიან სამომხმარებლო სესხებზე საშუალო შეწონილ საპროცენტო განაკვეთს მნიშვნელოვანწილად ეროვნულ ვალუტაში დენომინირებული სესხები განსაზღვრავს.

იურიდიულ პირებზე გაცემულ, ეროვნულ ვალუტაში დენომინირებულ იპოთეკურ სესხებზე საპროცენტო განაკვეთი 2022 წლის 30 სექტემბერს 14.2 პროცენტს შეადგენდა, ხოლო უცხოური ვალუტით - 7.7 პროცენტს. ამავე პერიოდში ფიზიკურ პირებზე ეროვნულ ვალუტაში გაცემულ სესხებზე საპროცენტო განაკვეთმა 13.3 პროცენტი შეადგინა, ხოლო უცხოურ ვალუტაში - 6.0 პროცენტი.

დიაგრამა 46: საპროცენტო განაკვეთები დეპოზიტების ნაშთებზე



დიაგრამა 47: საპროცენტო განაკვეთები გაცემულ, უძრავი ქონებით უზრუნველყოფილ სესხებზე



წყარო: საქართველოს ეროვნული ბანკი

საინფორმაციო ფურცელი

პუბლიკაცია მომზადებულია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მაკროეკონომიკური ანალიზისა და ფისკალური პოლიტიკის დაგეგმვის დეპარტამენტის მიერ. პუბლიკაციაში მოცემული ინფორმაცია და აზრები წარმოადგენს ავტორების - მაკროეკონომიკური ანალიზისა და ფისკალური პოლიტიკის დაგეგმვის დეპარტამენტის ეკონომიკური გუნდის აზრებს და არ წარმოადგენს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ოფიციალურ პოზიციას. პუბლიკაციაში მოყვანილი ანალიტიკური ინფორმაცია ემსახურება საინფორმაციო მიზნებს და მოპოვებულია საჯარო წყაროებიდან. ანგარიშში მოცემული პროგნოზები და გაანგარიშებები არ უნდა იყოს მიღებული, როგორც დაპირება, მინიშნება და გარანტია.

